



დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

უასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ. თუ საქრობა მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელი წერილებს რედაქცია ვერ დაუბუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან. ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ, въ редакцію «Дроѣба»

«დროების» ფასი

თბილისის წლისა... 9 მან. სამის თვისა... 3 მან. გვერდის თვისა... 5 მან. ერთის თვისა... 1 მან.

მიიღება ხალის-მოწერა

ამ 1884 წლისათვის გახეთს

დროებაზედ

(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

თელავში, ვანო როსტომაშვილთან.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბუღვართან.

ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

ზორში, საზოგადოების დეპოში, ადალო თუთაევთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ ТИФЛИСѢ, въ редакцію «Дроѣба».

უასი ხელის-მოწერისა:

წლით (12 თვით) — — 9 მან.	6 თვით — — 5 მან.
11 თვით — — 8 მ. და 50 კ.	5 თვით — — 4 მ. და 50 კ.
10 თვით — — 8 მან.	4 თვით — — 4 მან.
9 თვით — — 7 მ. და 50 კ.	3 თვით — — 3 მან.
8 თვით — — 7 მან.	2 თვით — — 2 მან.
7 თვით — — 6 მან.	1 თვით — — 1 მან.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მოწერა გაზეთის დაბარებისათვის უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

არწრენის თეატრი.

კვირას, 15 იანვარს

განმეორდება ა. მ. მოსხვიისა

ქართული დრამატული დასის ამხანაგობისაგან წარმოდგენილი იქნება

I აღმგდელაჲი

კომ. შ. მოქმ. თხზ. ა. მოხუბარიძისა.

II

თამარ ბატონი-შვილი

მეოთხე მოქმედება.

III

ც უ ლ უ ბ ი

ვიოდელი 1 მოქმედება. ჭრანკუზულიდან, ბ. მოხუბარიძისა.

დასაწყისი 8 საათზედ. (3—1)

შობაჲსი ჩანნი საპროკოვათაგანი.

თბილისი, 12 იანვარი.

მეჩვიდმეტე საუკუნედად დაწყებული განათლებული ევროპელების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ხალხის ცხოვრების გაცნობამ. მოველს მხარეს ხალხის ცხოვრებისას და ყოველს გარემოებას, რომელსაც კი ამ უკანასკნელთან რაიმე დამოკიდებულობა ჰქონდა, ღიღის მეცადინეობით აკვირდებოდნენ და სხვა და სხვა მეცნიერებათა განხილვას იგინი თავიანთ გამოკვლევის საგნად. ჭილოლოგიას, ისტორიას, სამართლის მეცნიერებას და სხვ. ხალხის ცხოვრების ამ გვარი ყოველი ინტელიგენტი შესწავლიდა და გამოკვნიდა და ასეთი თუ ისეთი დისკუნიანი იმანზედ, თუ როგორც გზავდნენ და იყოს დაყენებული ხალხის ცხოვრების წინამსწვლელობა, და ეს დასკვნანი გადღენის უქონლად არა რჩებოდნენ ხალხის მდგომარეობის და

წეს-წყობილების უკეთესად შეცვლაზედ.

ჩვენს დროში დაწინაურებულნი პირნი არამცთუ მათზედ ნაკლებ არა ცდილობდნენ გაიციონ ხალხის ცხოვრება, — ამ გვარი შრომა იმდენად უფრო გაძლიერდა, განაყოფიერდა, რამდენიც მეტი მეცნიერებამ გამოკვლევის სხვა-და-სხვა გზები იპოვა. მკითხველს უთუოდ ბევრჯელ ექნება წაკითხული და გაგონილი, რომ ვისაც ხალხისთვის სიკეთის მოტანა ჰსურს, იმან პირველად უნდა გაიგოს-რა ეკვირება ხალხს და რა გვარი საშუალება აქვს ამ საქროების დასაკმაყოფილებლად, ესე იგი, იმან უნდა იცოდეს ხალხის ცხოვრება.

მეოროპას რომ თავი დაეანებოთ, სადაც მეჩვიდმეტე საუკუნედად დაწყებული უმთავრესი გონებითი ძალა მიქცეული იყო და არის ხალხის ყოველ-მხრიულს შესწავლაზედ, და ეხლანდელ რუსეთს შეეხედოთ, აქაც დაეინახეთ, რომ ხალხის ცხოვრების ცოდნას სთვლიან საფუძვლად, რომელზედაც უნდა იყო დამყარებული და ეთანხმებოდეს მას ყოველივე, რაც კი ხალხის კეთილ-დღეობისთვის ეთდება. ამისთვის რუსეთის ინტელიგენცია იმდენად ცდილობს ხალხის გაცნობას, რამდენათაც კი ამის ნებას აძლევდნენ სხვა-და-სხვა გარემოებანი. ისეთს, პირველ შეხედვით, წერილმან საგნებსაც კი აქცევენ ყურადღებას, რომელთა შესწავლა, შეიძლება, ზოგს სასაცილოდ ეჩვენოს. მაგალით., ღიღის გულმოდგენით იკვლევდნენ იმას, რამდენი ცხენი ან ძროხა ჰყავს თითოეულს გლეხს, რამდენი აქვს შემოსავალი წელიწადში, ან რამდენი ენარჯება, რომელი

სამუშაოდამ რა შემოსდის; იკვლევდნენ მიწის რაოდენობას, შემოსავალს და სხ. პროფესორებიც კი არ ერიდებიან იმ გვარ უბრალო შრომას, როგორც არის ზემოდან ჩვენებისთანა ცნობების შეკრება. «Вѣстникъ Европы»-ს ამ წლის მეხუთე №-ში იყო დამბეჭდილი პროფესორი ბ. ისაევის წერილი გლეხთა ოჯახობათა გაყრის მიზეზებზედ. ამ წერილში ავტორს სახეში ჰქონდა მხოლოდ რამდენიმე სოფელი იაროსლავის გუბერნიისა, რომელნიც თვითონ დაიარა საქრო ცნობების შესაკრებად.

ჩვენს ქვეყანას რომ მივხედოთ და დაფიქრდეთ იმაზედ, თუ როგორ ვცდილობთ ხალხის ცხოვრების გაცნობისათვის, ამ უპირველესი პირობისათვის, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ასეთი თუ ისეთი საზოგადოებრივი მოქმედება, იმ სამწუხარო დასკვნასთან მივალთ, რომ ამ მხრივ ჩვენ ძალიან ცოტა ვაგვიკეთებია. რუსეთში ღიღის სიფთხილით სწავლობდნენ ისეთს საგნებს, როგორც, მაგ., წერილ-წერილი წარმოება (кустарная промышленность), არტელი და სხ., იმისთვის, რომ მთავრობას სწორედ დაანახონ საქმე და ამ გვარად შემწეობა მისცენ შესაფერი ცვლილების შემოღობისათვის ამ საგნების შესახებ. მანა ჩვენში კი ცოტა იმისთანა საგანი, რომლის შესწავლა ჩვენთვის ნაკლებად არ არის საქრო? მაგრამ ჩვენ სრულებით არა ვიცით-რა ხალხის მდგომარეობაზე.

ვისაც კი საზოგადო საქმისთვის გული სტკივა, ეს გარემოება უყურადღებოდ არ უნდა დასტოვოს. მართალია, შედარებით რუსეთთან ჩვენი საშუალება ამ საქმის შესასრულებლად ძლიერ მცირეა; ჩვენ არა გვაქვს ისეთი დაწესებულება, როგორც არის ერობა, რომელიც რუსეთის ბევრს ალაგებში ამ საქმეს ღიღის შრომას ახმარებს; განათლებული ხალხი ცოტა გვყავს და სხ. და სხ. ეს პირობები ძალიან დამაბრკოლებელი არიან (და არა მარტო ამ საქმისთვის); მაგრამ საქმე ის არის, რომ კაცმა უფრო მეტი შრომა და საქმის ერთგულობა მაშინ გამოიჩინოს, როცა საქმის შესრულება ადვილი არ არის.

ხალხის ცხოვრების ისტორიულად გაცნობისათვის, ჩვენ გვყავან თითო-ორ-ორი პირნი, რომელთაც უმაღლესი განათლება მიუღიათ და გაცნობილნი არიან ისტორიული გამოკვლევისთვის საქრო მეთოდებთან; ზოგნი კიდევ ეხლა ემზადებიან ამ საქმისთვის, ასე რომ თუ შეიძლება-თან შესაბამი სურვილიც იქნება, შეიძლება იმედი არ დავკარგოთ, რომ იმ მცირე ისტორიულ შრომებს, რომელნიც ვერ-ვგრობით მოგვეპო-

ვებიან, კიდევ მივმატება და ამ გვარად საქმე ნელ-ნელა წინ წავა.

რაც შეეხება ხალხის ეხლანდელი ცხოვრების გაცნობას, არც ეს წარმოადგენს ისეთს საქმეს, რომლის დაწყებაც და თუ ბევრისა არა, ცოტას ვაკეთებთ მაინც, ჩვენ ეხლანდელ შეგვეძლოს. ჩვენა გვყავს იმისთანა პირნი, რომელთაც როგორც გონებითი მომზადება, ისე სხვა გარემოებანიც ხელს უწყობენ შეკრიფონ ცნობები, რომელნიც რაიმე მხრით ნათელსა ჰყვენენ ხალხის ცხოვრებას. ამ შემთხვევაში ღიღი საჩვენებლობის მოტანა შეუძლიანთ სოფლის მასწავლებელთაც, როგორც ხალხთან დაახლოებულ პირთა. მარტა ამისა, ბევრს იმისთანა პირსა აქვთ მუდმივი ბინა სოფელში, რომელთაც შეუძლიან ამ საქმისთვის იშრომონ. ხშირად იმათ მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება რომელსამე მეცნიერებაში, და ამ მეცნიერების შესახები მასალის შეკრება არ გაუჭირდებათ. ნაწყვეტ-ნაწყვეტი შრომები ბოლოს შეერთდება და გამოიკვება ალწერა რომელიმე მხარისა ან შეიძლება გუბერნიისაც; და ეს შეჭად საფასური მასალა იქნება რომელიმე მეცნიერული გამოკვლევისთვის.

რასაკვირველია, ჩვენი ლიტერატურაც უნდა დაეხმაროს ამ გვარ შრომას; იმან არ უნდა დაიშუროს თავის დახმარება ამ საქმისთვის საქრო და რიგანი პროგრამის შემუშავებაში. ბევრთა გულ-ხელ დაკრფილი სხლო-მა და ლოდინი იმისი, თუ როდის შემოგვხვდაეს მოწყალეს თვალით რომელიმე უცხო დილეტანტი და დაუწყებს ჩვენს მხარეს შესწავლას...

ა. ქ.

შინაური ძროხისა

სახალხო განათლების მინისტრს, როგორც შევიტყუეთ, მოსწონებია პროექტი სწავლა-განათლების მხარუნველისა შესახებ იმისა, რომ ყოველ-გვარი სასწავლებლები ძველ-ძველად დაგოგოურის მხრივ მის სრულს შედამხედველობის ქვეშ იყვნენ.

თბილისის სათავად-ახნაურო სკოლის მასწავლებელთ შეუდგენიანთ პროგრამა საკვირაო სკოლებისა და მიუმართავთ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობისათვის, რათა გამგეობა პროგრამის დამტკიცებას ეცადოს. შევლა მასწავლებლები ამ ახალს ანპარეზზედ უსასყიდლოდ შრომას კისრულობენ.



ტებითა წესთა 1883 წ. 28 მაისის კანონისა, რომლის ძალითაც შემამუღებებს ეხსნებათ სახელმწიფოსაგან კრედიტი სოლო-თამასუქებზედ: ამბობენ, რომ იანვარშივე გაეგზავნებათ ინსტრუქციები სახელმწიფო ბანკის განყოფილებათ და კანტორათ.

ხმებია, ვითომც უნივერსიტეტების წესდების განხილვა სახელმწიფო რჩევაში მალე გათავდება; ჭეუქრობენ, რომ მას საზოგადო კრება მარტში განიხილავს.

მანა. გუშინდელს დღეს გირსი დიდ-ხანს ესაუბრა ღობანოვს-როსტოვსკის, ნახა და თვითონაც მიიღო დიპლომატები; გაუკეთა ვიზიტი ერც-ჰერცოგს; ოთხს საათზე კალნოკი მოვიდა და დაჰყუდა გირსთან 40 წამი; სადამოზე კალნოკიმ სადილი გამართა გირსის პატივ-საცემლად; ამ სადილზე იყვნენ მოპატიუებულნი აგრეთვე რუსეთის და გერმანიის ელჩნი, რუსეთის ელჩი ბუხარესტის წინაშე, თავადი ურუსოვი და უვება წევრნი რუსეთის საელჩოსი. სადილის შემდეგ გირსი ნახევარ-საათი კიდევ ესაუბრა კალნოვისს.

10 იანვარს.

მოსკოვი. გუბერნიის ერობის კრება გაიხსნა დღეს გენერალ გუბერნატორის სიტყვით. გენერალ გუბერნატორმა სთქვა, რომ მოსკოვის თავად-აზნაურობა ძველთაგანვე იყო ერთგული ტახტისა და ხელმწიფისა, და უოველთვის ეჭირა საპატიო ადგილი სხვა წოდებათა შორის და თუ უოველ წოდებითს არჩევნებზე უოველთვის ღირსეულ პირთ არ ირჩევდენ, მაინც ამ გვარი შემთხვევა არ ამცირებს თავად-აზნაურობის უფლებათა უოველ წოდებითს საქმეებში. თ. დოღგორუკოვმა მოაგონა აგრეთვე, რომ ხელმწიფე იმპერატორმა გვირგვინის გურთხვის დროს თავის სიტყვებში თავად-აზნაურთა წინამძღოლთადმი და მამასახლისებისადმი გამოუცხადა ნდობა რუსეთის თავად-აზნაურობას მისის ერთგულებისათვის. ბოლოს თავადმა წარმოთქვა იმედი, რომ საზოგადო საქმეებში და არჩევნებში მოსკოვის თავად-აზნაურობა არ დაამცირებს თავის სახელსა და ღირსებას. გასუგან წავითხუელ იქმნა ქვეშევრდომობითი ადრესი ხელმწიფე იმპერატორისადმი, რომელიც კრებაზე თუხზე-მდგარმა მოისმინა და გათავების დროს დიდის ურასი ძახილით მიიღო.

სტამბოლი. მორინის ცოლ-შვილის მკვლეელი უბანის მახრამი დაიჭირეს. ბოროტ-მოქმე-

დი არის მორინთან მეზად ნამყოფი, ნასაღდათარი ვასილი ნაიდა. ნაიდამ თვისი უცაცობა თავისივე პირით აღიარა.

მანა. გირსი დღეს პეტერბურგში წავიდა; გააცილეს იგი ღობანოვ როსტოვსკიმ და სხვა რუსის საელჩოს წევრთა.

ლონდონი. ხმა იყო გავრცელებული უელსის პრინცის მოკვლის განზრახვაზედ. ეს ხმა იმით აიხსნება, რომ წარსულს სამშაბათს, ვიდრე პრინცი გალტონისკენ წავიდოდა, ტუნელში იპოვეს პაეტები ასაფეთქებელი ნივთიერებით; ეს ნივთიერება დინამიტზედ სუსტი გამოდგა და პაეტები ისე ეწყვნენ, რომ მავნებლობა არაფერი შეეძლოთ.

11 იანვარს.

პეტერბურგი. 16 იანვარს დანიშნულია საზამთრო სასახლეში დიდი ბალი.

მისას დიდებულების. კაბინეტის გამგედ დანიშნულია უფროსი კონტროლიორი კარის სამინისტროსი პეტროვი.

ამ ცოტას ხანში პარიჟში აღმოჩენილი მიწერ-მოწერა ეგატირინე მეორისა გამოჩენილ სწავლულ დაღამბერთან იუიდა სეგორინმა და მალე დაიბეჭდება.


«ნოვოე ვრემია» ამბობს რომ ფოსტის დეპარტამენტის ნადირექტორადი შერჭილაიკი გაანთავისუფლეს 15000 მან. ჯარმისაგან, რომელიც სენატმა გადაწყვიტა.

«პეტერბურგის უწყებების» სიტყვით, სახალხო განათლების სამინისტრომ სასარგებლოდა სცნო, რომ სავაჟო გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლების პანსიონერებს არ შეეძლოთ ორს წელიწადზე მეტი დარჩენა იმ ხანზე, რაც კურსის გასათავებლად საჭიროა და რომელი პანსიონერებიც გიწარმატებას ვერ აღმოაჩენენ, გამოირიცხებოდენ პანსიონებიდან არა თუ აკადემიური წლის ბოლოს, არამედ უოველს დროსა და უამს.

განხილვანი

კინაზად შასპის დაქმნის გამო, უოველ გვარი რკინის კროტები 10% ნაკლებ ისყიდება. ინგლისის მალაზიაში უამისოლაც 25% ნაკლებ ვყიდლით სანამ სხვა სავაჟრო სახლებში ჩვენე მიიღეთ დიდ-ძალი უპირველესი სორტის ჭუჩუ.ჭუ ჩი, 1-ლი მოკრეფისა. ბირე. 2 მ. წმინდა ჩიი, უქაღლდოთ. ამ ჩიისა სხვა მალაზიებში უოველგან ისყიდება 3-მის შანეთიდგან 4-ს მანეთიდგან. რადგანაც ტანისაჟოსის ეპკრობას ესობთ — ქალების დოლომანები და სხვა ტანისამოსები ისყიდება 20% ნაკლებ. (10—6)

ინგლისური რკინის კროტები



კრთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბაღანით გატენილი 5-დგან 8 მანეთიდგან. კიდევ შეძლევა ნიკოტა იყიდება 25% -თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე; ბრიტანიის მეტალის ნიკოტები, ჩაიხები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვსები ჩანგლებითა, ფადხოსი, დასადგმელი, პირის-

სახანი, სტაქები, სუფოვანები, საწოლო-კუბი, იოუქები, გრაფინები, საქაშური, თუფები, ბლუდები, სასაღათუები, ტაშტები, სარძევეები, სამარილები, გაწივის საფეხები, უსაგირები გაწისა და ქალისა, ალკირები, სლისტები, ტანისა-ოსის დასაგებლები, საბაღო მკვარტლები, გაქები, უთოები, წისქვილები, სურსები, ქლები, კლიტები, ინგლისის იოუები და რეკლემები, პაეტი, სა-იაღები, გაშლილები, საფანგები, ნიბები, გატერპოუები, სახები, ჩუქები, წინდები, სუფრები, საღებტეებისათვის რელები, ემადიანი ტურტლები, მურაბები, გამფეტები, პაეულები, სოუსები, ღვვის ბაღანა, დიმივიტონები და სს. ინგლისურს მალაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს უერადება მიაქციეთ. (100—42)

ქუჩისალი

„ქართული ბიბლიოთეკა“

(წელიწადი მეორე)

პ 1884 წ. იანვრიდამ ქუჩისალი «ქართული ბიბლიოთეკა» გამოცემა ყოველთოვე-ლა-თოვე იმავე სახით და სიერ(ით, როგორც აქამომდე გამოდიოდა.

ხელის მოწერა მიიღება:

ქუთაისში: «ქართული ბიბლიოთეკის» რედაქციამი, რომელიც იმყოფება თეოლისის ქუჩაზედ დ. ლორთქიფანიძის სახლში.
თეილისში: ბ. ზაქარია შიქინაძესთან, ჩარკიანის წიგნის მაღაზიამი.
ბარში: — მკ. შურტელაძისას.
ბათუმში: — იულია დავითის ასული ჩხეიძისას.
შოთში: — ნატ. მაჭარაივისას.

შანი ათაღის წლისა 6 მან.

ჭალაქს გარეშე მცხოვრებთ ამ ადრესით უნდა დაიბარონ ქუჩისალი: Вь Кутаись, вь редакцію журнала «ГРУЗИНСКАЯ БИБЛИОТЕКА».

ხვედრი ფული ხელის-მომწერთა ქუჩისალის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნონ რედაქციამი.

(10—5)

რედაქტორი — გამომცემელი ეკ. ლორთქიფანიძისა.

ВЪ КАНЦЕЛЯРИИ ВОЕННАГО ГУБЕРНАТОРА КАРССКОЙ ОБЛАСТИ

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА ГАЗЕТУ

„КАРСЪ“

На 1884 годъ

Газета „Карсъ“ въ 1884 году будетъ издаваться совершенно на тѣхъ-же основаніяхъ, какъ и въ текущемъ году, по той-же программѣ и подъ тою-же редакціею.

условія подписки: съ доставкою и пересылкою въ годъ три рубля, за четыре мѣсяца одинъ рубль. Подписка принимается въ Канцеляріи Военнаго Губернатора, куда адресуютъ свои требованія и иногородные.

Отъ редакцій. Газета „Карсъ“ имѣетъ ближайшею цѣлью всестороннее изученіе новопріобрѣтенной Области и распространеніе въ обществѣ вѣрныхъ и точныхъ свѣдѣній, какъ о нынѣшнемъ ея состояніи, такъ и о мѣропріятіяхъ, направленныхъ къ ея развитію и благоустройству. Цѣль эта Можетъ быть достигнута въ той мѣрѣ, въ какой лица, имѣющія по своему положенію возможность собирать свѣдѣнія по тѣмъ или другимъ вопросамъ, касающимся Области, ея населенія и расположенныхъ въ ея предѣлахъ частей войскъ, выразятъ свое сочувствіе газетѣ и пожелаютъ оказать ея редакціи просвѣщенное свое содѣйствіе сообщеніемъ имѣющихся въ ихъ рукахъ свѣдѣній и матеріаловъ; поэтому мы просимъ этихъ лицъ не отказать намъ въ своемъ участіи и поспѣшить приведеніемъ въ порядокъ и сообщеніемъ редакціи находящихся у нихъ матеріаловъ; самая разработка этихъ матеріаловъ можетъ быть сдѣлана и въ редакціи, а потому литературные недостатки ихъ ни малѣйшимъ образомъ не должны стѣснять авторовъ ожидаемыхъ сообщеній. (3—2)